საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1525 2018 წლის 9 აგვისტო ქ. თბილისი

კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გათავისუფლების შესახებ

1. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 01 ივლისიდან 2019 წლის 01 იანვრამდე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/ნ 202886788), „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125^2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებებით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, გათავისუფლდეს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

2. ეთხოვოს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას", სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პერიოდულად წარუდგინოს ინფორმაცია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

3. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ვადა ამავე განკარგულებით განსაზღვრულ სუბიექტს არ უზღუდავს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უფრო ადრე დაწყების შესაძლებლობას.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**